მარეკის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №19(129) 2016 წ. 1-15 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში

№11-23 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებული 46080 ამომრჩეველიდან მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21519-მა. ბათილად იქნა ცნობილი 1133 ბიულეტენი. კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები კი ასეთია:

ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ – **თორნიკე ჩუნთიშვილი** – 649 ხმა (3.20%);

ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ – **ალექსანდრე ჩაფიძე** – 215 (1.07%);

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – **ზურაბ ჭიაბერაშვილი** – 5039 (24.88%);

„დავით თარხან-მოურავი-ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიცია“ – **ირმა ინაშვილი** – 3926 (19,39%;

„საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელი“ – **იური ყვარელაშვილი** – 87 (0,43%);

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – **რომან მუჩიაშვილი** – 9475 (46,79%);

დამოუკიდებელი კანდიდატი – **კაზანფარ მამედოვი** – 859 (4,24%).

8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების მიხედვით დაინიშნება **II ტური,** რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ **რომან მუჩიაშვილი** („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და **ზურაბ ჭიაბერაშვილი** – („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

პროპორციულ არჩევნებში

ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისათვის“ – 543 ხმა (2.69%);

ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ – 405 ხმა (2.0%);

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 5271 ხმა (26.07%);

„დავით თარხან-მოურავი-ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიცია“ – 2706 (13,38%);

„საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელი“ – 21 (0,10%);

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 9662 (47,78%);

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნებს საქართველოს მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში 111 ადგილობრივი (29931 წარმომადგენელი) და 55 საერთაშორისო ორგანიზაციის (1440 დამკვირვებელი) წარმომადგენელი ესწრებოდა.

ასევე ესწრებოდა საარჩევნო სუბიექტების 42092 წარმომადგენელი.

საარჩევნო პროცესს 184 მედია-ორგანიზაციის 5318 წარმომადგენელი აშუქებდა.

გილოცავთ!

ოთხი გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატიდან

7-9 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ პლოიეშტში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 30 ქვეყნის 450-მდე სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყო საქართველოს ნაკრები, რომელშიც შედიოდნენ საგარეჯოელი მოჭიდავეებიც. ოთხი მედალი, ოთხი გამარჯვება – ასეთია გარეჯელთა შედეგები.

ირაკლი კუპატაძემ (57 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა.

ლაშა მათიაშვილი II ადგილისა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ნატალია ყიფშიძე (48კგ) – *II ადგილი და ვერცხლის მედალი.*

თინანო რევაზიშვილი (56კგ) – *III ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.*

ამასთან, თინანომ ჩემპიონატის **„ახალი აღმოჩენის“** ტიტულიც დაიმსახურა. (ვრცლად მომავალ ნომერში).

ვულოცავთ მათ და მათ მწვრთნელებს, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელებს ამ დიდ გამარჯვებებს.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 სექტემბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. დღის წესრიგის საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო დალაქიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ*** **ალექსანდრე მეზვრიშვილმა.**

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრის ნინო დალაქიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, მისი მანავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის მენეჯერად დანიშვნის გამო.

სხდომას ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ციისმარ თედიაშვილი** ესწრებოდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

4 ოქტომბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რთველის მიმდინარეობის დეტალები გამოიკითხა, ასევე, დაინტერესდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით, რომელიც ცალკეულ სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ხორციელდება.

გამგებლის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაციით გაირკვა, რომ რთველი ნორმალურად მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს რთველის ორგანიზებულად წარმართვა.

11 ოქტომბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა **ნიკო ჯავახიშვილმა** თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებს ცალკეულ თემებსა და სოფლებში მადლობა გადაუხადა კამპანია „რთველი-2016“-ში აქტიური მონაწილეობისათვის, რამაც შედეგად რთველი ორგანიზებულად წარმართა და დასასრულიც წარმატებულია. მუნიციპალიტეტში, მიუხედავად სეტყვისაგან მიყენებული ზარალისა, მევენახეებმა საკმაოდ კარგი მოსავალი მოიწიეს. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, მართალია, სეტყვამ მოსავლის ხარისხზე იმოქმედა, ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელმა საწარმოებმა ასეთ ყურძენზე უარი არ თქვეს, მაინც მიიღეს დადგენილი ფასის შესაბამისად.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა თემებსა და ცალკეულ სოფლებში არსებულ იმ პრობლემებზეც ისაუბრეს, რომლებიც შემოდგომის ბოლომდე უნდა მოგვარდეს. საუბარი შეეხო მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგებისათვის სისტემის გამართულობას, გზების, ცალკეული ქუჩების მოხრეშვა-მოწესრიგებას, გარე-განათების მოწყობას. გაირკვა, რომ სოფლებში მთელი რიგი პროექტების განხორციელებისათვის ტენდერი გამოცხადებულია, რიგ შემთხვევაში გამოვლინდა გამარჯვებული სამსენებლო სუბიექტებიო, რომლებიც გარკვეულ ვადებში პროექტის განსახორციელებლად საჭირო სამუშაოებს ჩაატარებენ.

თათბირზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებები დასმული პრობლემების მოსაგვარებლად, შემუშავდა გეგმა-გრაფიკი, სოფლებში გზების მოწესრიგებასა და ხევების კალაპოტების გასაწმენდად, დაზიანებული სასმელი წყლის მილების ამოცვლასა და სათავე-ნაგებობის მოსაწესრიგებლად.

თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი** ესწრებოდა.

დანიშვნა

ოთარ ოთარაშვილი

დაიბადა 1987 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში.

1993 წელს შევიდა პატარძეულის საშუალო სკოლაში და 2005 წელს დაამთავრა პატარძეულის ფრანგულენოვანი სკოლა-ლიცეუმი.

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სწავლა პოლიციის მცირე აკადემიაში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო სპეციალობა იურისტი. იმავე წელს – 2011 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა სოფელ პატარძეულის რწმუნებულის თანაშემწედ, შემდეგ იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში

2013 წლიდან ეწეოდა საოჯახო მეურნეობას.

დაოჯახებულია

მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან ***დაინიშნა გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლად*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულ – **პატარძეულში**.

იქრამ ბაირამოვი

დაიბადა 1972 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ თულარში. თულარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს თულარის საბჭოთა მეურნეობაში მძღოლად მუშაობდა, შემდეგ კი ფერმერულ მეურნეობას ეწეოდა.

2016 წლის სექტემბრიდან ***გამგებლის წარმომადგენლად იქნა დანიშნული სოფელ თულარში.***

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

რიზვან მამედოვი

დაიბადა 1969 წელს სოფელ ლამბალოში. 1977 წელს სწავლა დაიწყო გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში, რომელიც 1988 წელს დაამთავრა. შემდეგ მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური, რომლის შემდგომ დაკავებული იყო კერძო სამუშაოთი. 2013 და 2014 წლებში მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლამბალოს რწმუნებულის თანაშემწედ.

ამჟამად ***დანიშნულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში გამგებლის წარმომადგენლად.***

დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და 1 შვილი.

„რთველი-2016“

მუნიციპალიტეტში მალე დამთავრდება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „რთველი-2016“ ფინიშს უახლოვდება.. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩვენი მევენახეები უპრობლემოდ აბარებენ ყურძენს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 10 ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ყურძნის ჩაბარებაზე ლიცენზირებულ და სხვა ქარხნებში მუნიციპალიტეტის მევენახეებს ჩაბარებული ჰქონდათ 9359 ტონა ყურძენი: რქაწითელი – 4227, საფერავი –4239, მწვანე –884 და სხვა ჯიშების ყურძენი – 11 ტონა.

აქედან, ამ დროისათვის დიდი ჩაილურის მოსახლეობას მთლიანობაში ჩაბარებული ჰქონდა 948, ბადიაურის – 209, ვერხვიანს – 268, ნინოწმინდას – 182, პატარძეულს – 18, უდაბნოს – 6, ყანდაურას – 182, თოხლიაურს – 878, მანავს – 1339, მზისგულს – 586, კაკაბეთს – 2580, პატარა ჩაილურს – 575, საგარეჯოს – 870, შიბლიანს – 294 ტონა ყურძენი. ამავე პერიოდში მოსახლეობას საკუთარი ძალებით რეალიზებული ჰქონდა 5 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

„რთველი-2016“ მუნიციპალიტეტში მალე წარმატებით დამთავრდება.

გ. ღაბახიშვილი

სოფელი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

უდაბნო

ინფრასტრუქტურა

ამ ორიოდე თვის წინ სოფელში უდიდესი პროექტი განხორციელდა თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით. აქ 820 ადამიანი იმ დიდი სიკეთით სარგებლობს, რომლის მშენებლობის მიმდინარეობას მხოლოდ უდაბნოელები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მოსახლეობა არ ადევნებდა თვალყურს. შეიძლება ითქვას, აქ საუკუნის პროექტს შეესხა ხორცი, რომელზეც უკვე ბოლო ათეული წლებია აქაურები აუხდენელ ოცნებას უწოდებდნენ. მუდმივი სასმელი წყლის მაგისტრალს სახელმწიფო დაფინანსებით 4 მილიონ 369 ათასი ლარი მოხმარდა. მაგისტრალი სოფელ თოხლიაურიდან სოფელ უდაბნომდე 27 კმ-ის სიგრძისაა. რაც შეეხება სოფელში შიდა ქსელის სიგრძეს, ის 10600 მეტრის ტოლია. აქაური მოსახლეობის უწყვეტად მომარაგებისათვის 2 ცალი 2 ათასტონიანი ავზია დამონტაჟებული. იქვეა საქლორატორო, სამორიგეო, სადაც მორიგეები 24 საათის განმავლობაში თვალყურს ადევნებენ წყლის მიწოდებას მოსახლეობისათვის. დღეს უდაბნოელებს კიდევ არ სჯერათ ამხელა სიკეთის – დღეღამეში აქ 4000 ტონა წყალი მათ განკარგულებაშია. დიახ, 235 აბონენტი დღეს



შეუფერხებლად იღებს სასმელ წყალს.

სოფელს წყალი წლების წინ უჯარმიდან გამოყვანილი წყალსადენიდანაც მიეწოდება, რომელიც ბოლო პერიოდში ხშირად ზიანდება...გასულ წელს აქ სარიტუალო სახლის მოწყობა-რეაბილიტაციას „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 17413 ლარი მოხმარდა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა დასრულებული მისი სახე.

სამომავლოდ სოფელს იმედი აქვს სოფელში საირიგაციო ქსელის აღდგენაზე, რომელიც აქ გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო და სამი სატუმბი სადგური 4200 ჰა მიწის გასარწყავებას ემსახურებოდა. მაშინ უდაბნოელებს თითქმის ყველა სახეობის ბოსტნეული მოჰყავდათ.

აღსადგენია გარე განათება, რომელიც სოფელს ღამითაც სილამაზეს და მიმზიდველობას მატებს.

მოსახრეშია ის ქუჩებიც, სადაც სასმელი წყლის სისტემის გაყვანის გამო მიწამ მნიშვნელოვნად დაიწია.

მიმდინარე წელს აქ საბავშვო ბაღის ძველ შენობაში „კულტურული ცენტრი“ მოეწყო, რომლის ინიციატორები უდაბნოს ქალთა საინიციატივო ჯგუფი „ლამარიაა“.

სოფელში კვლავ საუბარია იმ ნაგებობათა ნანგრევების, ჩამოქცეული კედლების შესახებ, რომლებიც გასული საუკუნის ბოლო წლებში გაჩნდა – ნანგრევებადქცეული სამედიცინო ამბულატორიის შენობა და ნახევრად დანგრეული შენობები მართლაც შემზარავად გამოიყურება ულამაზესი სოფლის ცენტრში.

სკოლამდელი აღზრდა

უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ***(მენეჯერი ნელი კორძაია)***

ორი ჯგუფი ფუნქციონირებს. ბაგის ასაკის აღსაზრდელთა (აღმზრდელ-პედაგოგი ***ქეთევან მაისურაძე,*** აღმზრდელის თანაშემწე ***ნათია გვარამაძე)*** და 4-5 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელების (აღმზრდელ-პედაგოგი ***ქეთევან ჩოკოშვილი,*** აღმზრდელის თანაშემწე ***მაია ალადაშვილი***), დაწესებულებაში სულ 34 აღსაზრდელია. აქედან – 14 ბაგის ჯგუფის ასაკის. აქ ყველაზე პატარები ნინო თამლიანი, თაკო მარგველანი, ანდრია გულბანი, ანასტასია გირგვლიანი, გაბრიელ ყიფიანი და ბარბარე გულბანია.



უფროსი ასაკის ჯგუფიდან მომავალ სასწავლო წელს ოთხი უდაბნოელი შეადებს საჯარო სკოლის კარს – მათე გულბანი, მარიამ ფირცხელანი, ცოტნე ცინდელიანი და გიორგი გუჯეჯიანი. სულ ახლახანს, 15 სექტემბრიდან აქ აღზრდილმა 13 უდაბნოელმა ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლის პირველკლასელობა იზეიმა. სწორად ისინი არიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ახალი შენობიდან I გამოშვება. მათ კარგად დაამახსოვრდებათ მშენებლების, აღმზრდელების და საერთოდ უდაბნოელთა ის სიხარული, რაც გასულ წელს ლამაზ, ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადასვლამ გამოიწვია. აქ ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება, გასახდელიც, სამეცადინო ოთახიც, სამზარეულოც, მედდის, მენეჯერის ოთახები და სველი წერტილებიც. წელს სექტემბერში კი მათ ამ სიხარულს მუდმივი სასმელი წყალიც მიემატა, რომელზედაც 3 ათეულ წელზე მეტია ოცნებობდნენ უდაბნოელები. ახლა ახალ შენობაში მუდმივად და თანაც მაღალი წნევით მოედინება სასმელი წყალი. ამასთან, აქ დამონტაჟდა წყლის გამათბობელი, რამაც ცხელი წყლის მოხმარებაც მუდმივი გახადა.

აღსაზრდელთა ჯანმრთელობას თვალყურს ***მედდა ლუდმილა ქალდანი*** ადევნებს, რომელიც ამ დაწესებულებაში უკვე 16 წელია მუშაობს.

აღსაზრდელთა კვებას ***უფროსი მზარეული გულო რიკაძე*** და მისი ***თანაშემწე ინდირა მარგველანი*** კეთილმოწყობილ სამზარეულოში უძღვებიან.

ჯანდაცვა

820 უდაბნოელის ჯანმრთელობის დაცვას ოჯახის ექიმი ***ნანა კოხტაშვილი*** და

ექიმის თანაშემწე ***მაკა (ანგელინა) გურჩიანი*** ემსახურება. უდაბნოელები კმაყოფილები არიან მათი მომსახურებით.

წლების წინ მოუწესრიგებელი იყო უდაბნოელთა იმუნიზაცია – მიგრაციის გამო. ახლა კი იმუნიზაციის პროგრამა უკანასკნელ წლებში მთლიანად მოწესრიგდა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის აღნიშნულ პროგრამაში სრულყოფილად ჩართვას. თითოეული ახლადდაბადებული ბავშვის დარეგისტრირება გააადვილა კომპიუტერულმა მომსახურებამ. ეს კი შესაძლებელს ხდის ადგილზე იმ აცრების ჩატარებას, რომელიც ზედმიწევნით ვადებში ჩატევას მოითხოვს. ჰყავთ ერთი ონკოლოგიური ავადმყოფი და 4 დიაბეტიკი, რომლებიც დიდ ყურადღებას და გულისხმიერებას საჭიროებენ. არიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონენიც, რომელთა ჯანმრთელობის კონტროლი მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვს, და ნანა ექიმი და მაკა ექთანიც, რომლებსაც ასე თბილად იხსენიებენ უდაბნოელები, მათ არ აკლებენ მზრუნველობას და ყურადღებას.

სპორტი

უდაბნოში ძიუ-დოს სექციაში (მწვრთნელები ირაკლი დადვანი, ლაშა ფირცხელანი და გაიოზ ჩართოლანი) 30 უდაბნოელს ავარჯიშებენ.

ახლახანს აქ სპორტული ოთახი გარე-



დასასრული მე-4 გვერდზე

დასასრული

სოფელი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

უდაბნო

მონტდა, შეეცვალა კარ-ფანჯარა, შემოტანილ იქნა სპორტული ლეიბები, ***რაც ქალთა საინიციატივო ჯგუფ „ლამარიას“ მიერ პროექტით „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ განხორციელდა.***

სკოლა

ახალგაზრდული კლუბი, ასევე, ამავე შენობაში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციიდან გადაეცა მუსიკალური ინსტრუმენტები, საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა.

სკვერი

ეს ბიჭები: ლუკა თამლიანი, ცოტნე იოსელიანი, იაგო გულბანი, მახარე გულბანი,, ნიკა დადვანი ძიუ-დოს სექციის ძიუდოისტები არიან. ვარჯიშის დაწყებამდე ხშირად იკრიბებიან სკვერში, რომელიც ორიოდე წლის წინ უდაბნოს თემის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა პროექტით „ვიზრუნოთ მომავალ თაობაზე“ მოაწყო – საქართველოს სტრატეგიული კვლევების განვითარების ცენტრის ხელშეწყობით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. მესაუბრებიან ძიუ-დოზე, სწავლაზე, სოფელში ახლახანს შემოყვანილ სასმელ წყალზე, რომელმაც მთლიანად შეცვალა ბავშვების ყოველდღიური ცხოვრებაც. მესაუბრებიან, თან თავიანთ ოცნებებს მიზიარებენ – ძალიან უნდათ, რომ სოფელში ნამდვილი სტადიონი ჰქონდეთ და და თანაც თეთრი საღებავით დახაზული, ბადიანი კარით. ოცნებობენ სოფლის ქუჩებში გარე განათების მოწყობაზეც ფიქრობენ, მალე ამ საჩუქრებსაც მიიღებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მხარდაჭერით.

P.S. უდაბნოელებმა, ქალმაც და კაცმაც, უფროსმაც და უმცროსმაც, ნაცნობმაც და ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილმაც გულითადად მთხოვა – გაზეთის საშუალებით მადლობა გადამეხადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის **ბიორბი ბზირიშვილისათვის**, გამგებლის წარმომადგენლის **ჯამბულ მარგველანისათვის**, საკრებულოს წევრი **ლექსო იოსელიანისათვის,** გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტის **ალეკო გელაშვილისთვის** და მათთვის, ვინც სოფელ უდაბნოში სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის გამოყვანაში წვლილი შეიტანა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი მათ...

ინფრასტრუქტურა-2016

პროექტები მალე სრულყოფილად განხორციელდება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით ხორციელდება ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც წლის დასაწყისიდან დაიგეგმა ქალაქსა და სოფლებში გზების, სასმელი წყლის სისტემების მოსაწესრიგებლად, გარე განათების მოსაწყობად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის.

პროექტები კი ასე ხორციელდება:

ფონდი „რეგიონული განვითარება“

ფონდ „რეგიონული განვითარების“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების, გზების, სანიაღვრე არხების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თითქმის ორ მილიონნახევარ ლარზე მეტი იყო გამოყოფილი.

უკვე დასრულდა:

– სოფელ **ხაშმში** სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია (პროექტის მთლიანი ღირებუილებაა 465650 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩაზე** ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობა (190.190 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა (146.948ლარი);

– სოფელ **შიბლიანში** მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (335979 ლარი).

მიმდინარეობს და დასრულების პროცესშია:

– ქ. **საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღის** რეაბილიტაცია (70 096 ლარი);

– სოფელ **ბადიაურის საბავშვო ბაღის** რეაბილიტაცია (88999 ლარი);

– სოფლების **დუზაგრამა-თულარის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა (854 495 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე** ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (191 499 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე** ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (40 321 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, ჯანგულაშვილის** ქუჩაზე ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (73.793 ლარი).

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებით 43 პროექტი უნდა განხორციელებულიყო, რომლის დაფინანსება 1 012 296 ლარს შეადგენდა.

უკვე დასრულებულია:

1.სასმელი წყლის სათავის, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, შიდა ქსელების მოწყობა:

– სოფელ **პატარძეულში** (სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 5719 ლარი, სასმელი წყლის რეზერვუარის და ტუმბოს შეძენა – 9574 ლარი);

– სოფელ **წყაროსთავში** (სისტემის რეაბილიტაცია – 5719 ლარი);

– სოფელ **ანთოკში** (სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა – 4404 ლარი);

– სოფელ **მარიამჯვარში** (სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეცვლა – 4020 ლარი);

– სოფელ **ზემო ბურდიანში** (სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა – 3846 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** (არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა – 3965 ლარი);

– სოფელი **ზემო ლამბალო – ქვემო ლამბალო-თულარი-იორმუღანლო** („სოკარის წყლის“ რეაბილიტაცია – 82588 ლარი);

– სოფელ **ქვემო ლამბალოში** (სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 41537 ლარი);

– სოფელ **თოხლიაურში** (სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა – 18997 ლარი)

2. სარწყავი სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია, გაწმენდა

– სოფელ **მუხროვანში** (სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება – 4213 ლარი);

– სოფელ **კოჯბანში** (სარწყავი არხის სათავე ნაგებობის მოწყობა – 2354 ლარი);

– სოფელ **სასადილოში** (სარწყავი სისტემის მოწყობა – 4254 ლარი);

– სოფელ **დუზაგრამაში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 6926 ლარი);

– სოფელ **პალდოში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 6999 ლარი);

– სოფელ **წიწმატიანში** (სარწყავი არხის რეაბილი– ტაცია – 6100 ლარი);

– სოფელ **ზემო ლამბალოში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 7892 ლარი);

– სოფელ **ძეშალოში** (სარწყავი არხის გაწმენდა – 5160 ლარი);

3. სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია:

– სოფელ **პატარძეულში** (პროექტის ღირებულება – 21177 ლარი);

– სოფელ **ნინოწმინდაში** (33608 ლარი);

– სოფელ **მანავში** (25417 ლარი);

4. მოეწყო გარე განათება

– სოფელ **ხაშმში** (პროექტის ღირებულება – 15868 ლარი);

– სოფელ **წყაროსთავში** (11055 ლარი);

– სოფელ **მანავში** (3030 ლარი);

– სოფელ **დიდ ჩაილურში** (16755 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** (13598 ლარი);

– სოფელ **კაკაბეთში** (53906 ლარი);

– სოფელ **შიბლიანში** (12389 ლარი);

5. შემოიღობა სასაფლაო

– სოფელ **კოჯბაანში** (პროექტის ღირებულება – 2542 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** (7151 ლარი);

6. მოხდა სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია:

სოფელ **ვერონაში** (პროექტის ღირებულება – 4561 ლარი);

7. მოეწყო საძონლის დასარწყულებელი

სოფელ **სათაფლეში** (პროექტის ღირებულება – 4807 ლარი);

8. მოეწყო სკვერი:

– სოფელ **ნინოწმინდაში** (პროექტის ღირებულება – 4613 ლარი);

9. მოეწყო სკვერში განათება:

სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 846 ლარი);

10. მოხდა სტადიონის რეაბილიტაცია:

სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 19812 ლარი);

11. მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი:

– სოფელ **მანავში** 2 ადგილზე (პროექტის ღირებულება – 12717 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** (5841 ლარი);

დასასრული მე-5 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2016

პროექტები მალე სრულყოფილად განხორციელდება

დასასრული

– სოფელ **ძეშალოში** (12455 ლარი);

12. კეთილმოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზო:

– სოფელ **დიდ ჩაილურში** (პროექტის ღირებულება – 3999 ლარი);

13. შეძენილ იქნა ატრაქციონი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში:

– სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 3869 ლარი);

14. მოეწყო კულტურის ცენტრი:

– სოფელ **უდაბნოში** (პროექტის ღირებულება – 15366 ლარი);

15. დაწყებულია სამუშაოები

ა) ჭაბურღილის მოსაწყობად –

სოფელ **ბიორგიწმინდაში** – (პროექტის ღირებულება – 40119 ლარი);

ბ. სარიტუალო სახლის რეაბილიტაცია –

– სოფელ **მზისბულში** (პროექტის ღირებულება – 12198 ლარი);

გ. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობის აშენება

– სოფელ **კაზლარში** (პროექტის ღირებულება – 29263 ლარი);

დ. სასაფლაოს შემოღობვა

– სოფელ **გომბორში** (პროექტის ღირებულება –15068 ლარი);

ე. სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

– სოფელ **გომბორში** (პროექტის ღირებულება – 2542 ლარი);

ვ. შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია:

– სოფელ **ვაშლიანში** (პროექტის ღირებულება – 4561 ლარი);

– სოფელ **ხაშმში** (10999 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** (2985 ლარი);

– სოფელ **ზემო ყანდაურაში** (4824 ლარი);

– სოფელ **ძეშალოში** (22171 ლარი);

– სოფელ **დუზაგრამაში** (13595 ლარი);

– სოფელ **პალდოში** (14279 ლარი);

– სოფელ **წიწმატიანში** (12888 ლარი);

– სოფელ **ზემო ლამბალოში** (11499 ლარი);

– სოფელ **თულარში** (20865 ლარი);

ზ. სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია:

– სოფელ **მანავში** (პროექტის ღირებულება – 6309 ლარი);

– სოფელ **ვერხვიანში** (15524 ლარი);

უახლოეს ხანში დაიწყება:

ა) საღრენაჟე სისტემის მოწყობა სავარგულებში

– სოფელ **თულარში** (პროექტის ღირებულება – 21969 ლარი);

ბ) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

– სოფელ **გორანაში** (პროექტის ღირებულება – 5704 ლარი);

– სოფელ **იკვლივ გორანაში** (4798 ლარი);

– სოფელ **უჯარმაში** (5075 ლარი);

– სოფელ **გომბორში** (2309 ლარი);

რაც შეეხება:

– სოფელ **რუსიანში** სარიტუალო ასაწყობი კონსტრუქციის შეძენას ((პროექტის ღირებულება – 5485 ლარი);

– სოფელ **კაკაბეთში** სასმელი წყლის ონკანების დამონტაჟებას (1259 ლარი).

ეს სამუშაოები წლის ბოლომდე დამთავრდება.

განათლება

მასწავლებლის დღე საგარეჯოში

5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ქალაქ საგარეჯოს 1 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის და პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებთან გულთბილი შეხვედრა გაიმართა. სკოლის 30 ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგს მადლობის სიგელი და საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადაეცა. ასევე, პედაგოგები დასაჩუქრდნენ საჯარო სკოლების ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებისთვის, სხვადასხვა სასწავლო პროექტებში აქტიური მონაწილეობისთვის და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მათი მოსწავლეების მიერ მიღებული საუკეთესო შედეგებისთვის.

პროექტი „ცოცხალი წიგნები“ საგარეჯოში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ა(ა)იპ კავშირი „პოეზიის მეგობართა კლუბი“ საქართველოს რეგიონებში ახორციელებს საგანმანათლებლო-ლიტერატურულ პროექტს „ცოცხალი წიგნები.“ პროექტის ხელმძღვანელია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი, ქეთევან დუმბაძე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 4 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გაიმართა თანამედროვე მწერალთა ჯგუფის შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან: სოფელ პატარძეულის ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში, სოფელ ნინოწმინდის გამგეობის შენობაში მდებარე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზსა და ქალაქ საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში. მკითხველს ავტორებმა წარუდგინეს საკუთარი ნამუშევრები, ისაუბრეს თანამედროვე ლიტერატურის პრობლემურ საკითხებზე, მოუსმინეს ადგილობრივ შემოქმედ ადამიანებს. შეხვედრების დასასრულს, პროექტის კოორდინატორმა და ავტორებმა, ადგილობრივ ბიბლიოთეკებს და მკითხველებს საჩუქრად გადასცეს ახალი წიგნები.

პროექტში მონაწილეობდნენ მწერლები:

მარიამ წიკლაური - პროექტის კოორდინატორი ლია ლიქოკელი, ბექა ახალაია, ნანა ქარდავა, დათო ჭელიძე, ზურა პაპიაშვილი; გივი ჩიღვინაძე; ეკა ქურხული; რუსუდან კაიშაური; ნათია როსტიაშვილი.

კულტურა

ფესტივალზე თავი ისახელეს

24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით მარნეულში გაიმართა მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალი – „მარნეული-2016“. მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის რვა სახალხო თეატრი მონაწილეობდა. მათ შორის საგარეჯოს სახალხო თეატრიც. 26 სექტემბერს საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს რეჟისორ ნიკა საბაშვილის სპექტაკლი „კლოუნადა“. ჟიურის მიერ ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლები და მსახიობები სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდნენ. ჟიურის სპეციალური პრიზი „საუკეთესო დუეტისათვის“ ჩვენი თეატრის მსახიობებს პაატა ქვლივიძეს და მიშა ხოკერაშვილს გადაეცათ. ხოლო ირაკლი ლიპარტელიანი მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდა. სპექტაკლის მუსიკალურად საუკეთესოდ გაფორმებისათვის დაჯილდოვდა თაზო იმნაძე.

შემდგომი საქმიანობის ხელშესაწყობად

ახლახანს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა საგარეჯოს კულტურის სახლს. შენობის I სართულზე მოეწყო სახელოსნო-ოთახი, რომელიც ხელს შეუწყობს შენობის აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აქვე შესაძლებელი იქნება თოჯინების თეატრის დეკორაციების, თოჯინების შექმნა. ასევე გაილესა და შეიღება მეორე სართულის დერეფანი, მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა. ეს პრობლემები შენობას ორ ათეულ წელზე მეტია ჰქონდა.

შენობის მთავარ შესასვლელში გაკეთდა სალარო, რომელიც წლებია აღარ არსებობდა.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲐᲒᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ 57 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

„პატარძეულის ვეფხვები“ — გამარჯვებაზე ორიენტირებულები

მოკლე ისტორია

რაგბი ინგლისის ქალაქ რაგბიში 1823 წლის 7 აპრილს დაიბადა. 16 წლის მოსწავლემ უილიამ უებ ელისმა, რომელიც ქ. რაგბის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა, წესი დაარღვია, ბურთს ხელის სტაცა და მეტოქის კარისაკენ გაიქცა, რითაც დასაბამი დაუდო სპორტის ახალ სახეობას. მსოფლიო თასი, რაგბის მთავარი ჯილდო ელის სახელს ატარებს... 1871 წელს დაარსდა ინგლისის რაგბის კავშირი, 1873 წელს შოტლანდიაში, 1875 წელს ირლანდიაში, 1886 წელს რაგბის საერთაშორისო საბჭო, რომელმაც დაიწყო ზრუნვა რაგბის წესების საყოველთაო სტანდარტიზაციისათვის. რაგბი 1895 წლამდე რჩებოდა სამოყვარულო სპორტად. 1921 წელს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, ისიც მხოლოდ ევროპული გუნდებისათვის, რომელსაც 5 ერის პირველობა ერქვა. ამჟამად მას 6 ერის პირველობა ჰქვია. მონაწილეობენ: ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, უელსი, საფრანგეთი, იტალია. 1886 წელს დაარსებულ რაგბის საერთაშორისო საბჭოს დამფუძნებლები იყვნენ ირლანდია, უელსი, შოტლანდია. 1986 წელს საბჭოში 8 წევრი იყო, რომელიც აერთიანებს 95 ქვეყნის ფედერაციას და 6 რეგიონულ ორგანიზაციას.

ქართული რაგბი

საქართველოში რაგბის რამდენიმე ქართული საჩვენებელი მატჩი 1919,1940 და 1948 წლებში გაიმართა. პირველი ქართული კლუბი ფრანგმა ემიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა 1959 წლის 15 ოქტომბერს დააფუძნა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1961 წელს გივი მრელაშვილის თაოსნობით შეიქმნა პირველი ოფიციალური ორგანო – თბილისის რაგბის საქალაქო სექცია, რომელიც 1964 წელს თბილისის რაგბის ფედერაციად გადაკეთდა.

სხვადასხვა დროს გამართულ საკავშირო შეჯიბრებებში ქართველი მორაგბეები გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ. 1968 წელს პირველად, ხოლო 1972, 78, 81 წლებში საკავშირო შეჯიბრებაში თბილისის „ლოკომოტივმა“ სამჯერ ზედიზედ მესამე ადგილი დაიკავა. გუნდმა „აია“-მ, 1972, 1978, 1981 წლებში და შემდეგში გახდა სსრკ ჩემპიონი. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ ქართველი მორაგბეები: თამაზ მელაძე, ვლადიმერ აბაშიძე, მიხეილ თუთიშვილი, ზურაბ ხარშილაძე, თემურ ბენდიაშვილი, მიხეილ ჯვარიძე, დავით კილასონია, მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ გიორგაძე.

1989 წელს შეიქმნა საქართველოს პირველი ეროვნული გუნდი, რომელმაც 12 სექტემბერს ქუთაისში საერთაშორისო მატჩი გამართა ზიმბაბვეს ნაკრებთან (16:3)... 1992 წლის თებერვალში რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს რაგბის კავშირი 52-ე წევრად მიიღო.

პატარძეულის „ვეფხვების“ დაბადება

პატარძეულის „ვეფხვები“ 2001 წელს შეიქმნა. მისი ჩამოყალიბების ინიციატორი საქართველოში ცნობილი პიროვნება მალხაზ ურჯუკაშვილი და მისი ძმა მერაბია, რომელთათვისაც პატარძეული დედულეთია. მათ შემდეგში საქართველოს სპორტული აკადემიის ყოფილი მორაგბეები ზვიად ცუხიშვილი, ზურა ამონაშვილი და სანდრო პავლიაშვილი შეუერთდნენ.

გუნდის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა პატარძეულში მომუშავე ნავთობკომპანიის დირექტორმა ნიკო თევზაძემ, რომელმაც გამოყო თანხები სპორტული ინვენტარისა და მორაგბეთა ფორმების შესაძენად

პატარძეულელები დიდი ინტერესით შეხვდნენ ურჯუკაშვილების ამ კეთილ ნებას და გოგი ყურკაციშვილმა საკუთარი სახლიც კი დაუთმო მორაგბეებს ვარჯიშებისა და შეკრებების ჩასატარებლად. პირველ ხანებში პატარძეულის საჯარო სკოლიდან 80 მოსწავლე შეკრიბეს მწვრთნელებმა და ინტენსიური ვარჯიშების ჩატარება დაიწყეს.

„ვეფხვების“ პირველი გამარჯვებები და...

2002 წელს ჩატარდა რაგბიში 1991-1992 წლებში დაბადებულ მორაგბეთა „შვიდკაცას“ სტილში პირველობა, რომელშიც რესპუბლიკის ყველა რეგიონის მორაგბეები მონაწილეობდნენ. „პატარძეულის ვეფხვებმა“ ყველა გუნდი დაამარცხეს და ფინალშიც ქუთაისის ძლიერ და გამოცდილ გუნდს შეხვდნენ. შეხვედრა „ვეფხვების“ გამარჯვებით დამთავრდა და გარდამავალმა თასმა ბინა ერთი წლით პატარძეულში დაიდო. მომდევნო – 2003 წელს ქუთაისელმა მორაგბეებმა თასი ქუთაისში წაიღეს. 2004 წელს გუნდს ფინანსურად გაუჭირდა და სპორტული აკადემიის გუნდს შეუერთდნენ. ამ დროს კლუბმა „ვეფხვების“ დიდი წილით პირველობა და გარდამავალი თასიც მოიპოვეს.

ახლო წარსული

გასულ წელს საგარეჯოს ფეხბურთის სტადიონზე პატარძეულის რაგბის გუნდ „ვეფხვების“ მოთამაშეებთან გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების მორაგბეები, მათი ახალზელანდიელი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი და მწვრთნელი ილია მაისურაძე ჩამოვიდნენ. ნაკრების 17 კაციან შემადგენლობაში იყვნენ: გივი ბერიშვილი, ბადრი ალხაზიშვილი, კლუბ „ვეფხვების“ აღზრდილი, ევროპის ჩემპიონი მურაზ გიორგაძე.

იმ დღეს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა საათნახევრიანი წვრთნის დროს „ვეფხვებს“ შეასწავლეს და დაეხმარნენ იმ უნარებისა და საერთოდ, ტექნიკური უნარების დახვეწაში, რომელთა ცოდნა მათ დაეხმარებათ მომავალი წარმატებების მიღწევაში. ეროვნული ნაკრების მიერ გამოჩენილი ასეთი ყურადღება კი სწორედ „ვეფხვების“ მიერ მიღწეულმა გამარჯვებებმა და გამარჯვებებისკენ სწრაფვის სურვილმა გამოიწვია – გასულ წელს საქართველოს რაგბის გათამაშების პირველ ლიგაში მონაწილე 19 გუნდს შორის „ვეფხვები“ იმ 8 გუნდს შორის გავიდნენ, ვინც უფლება მოიპოვა ამ ლიგაში დარჩენის და ასპარეზობის. ამ საათნახევრიანმა წვრთნამ კი მართლაც დიდი გამოცდილება შესძინათ „ვეფხვებს“, მეტი მოტივაცია მისცათ სამომავლო წარმატებებისათვის.

დღეს

4 ივნისს კახეთის რაგბის რეგიონული ხელმძღვანელობის ორგანიზებით ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა-ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „პატარძეულის ვეფხვებმა“, თელავის გუნდმა „ჭადარმა“, ალვანის „თუშებმა“, ხაშურის „ლეგიონმა“, რუსთავის „ხარებმა“, თბილისის „დევებმა“, თბილისის „აკადემიამ“. ფესტივალი მიზნად ისახავდა რაგბის პოპულარიზაციას. აქ 300-მდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას და რაგბით დაინტერესებული მაყურებლებიც მრავლად იყვნენ. სამივე ასაკობრივ ჯგუფში ყველა თამაში „ვეფხვებმა“ მოიგეს.

16 სექტემბერს „პატარძეულის ვეფხვებმა „ბ“ ლიგაში გორის „ლომები“ 16:7 დაამარცხა.

18 სექტემბერს ახალგაზრდა გუნდმა „თი-ბი-სი თსუ“-ს 48:0 სძლიეს.

20 სექტემბერს ჭაბუკთა „ა“ ლიგამ ფოთის „არგოს“ 11:10 მოუგო.

25 სექტემბერს პირველი ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი თბილისის „დინამო“ 6:5 დაამარცხა.

გუნდის მწვრთნელი ***სანდრო პავლიაშვილი*** 7 წლის ასაკიდან შევიდა რაგბის სექციაში და მას შემდეგ ვეღარც წარმოუდგენია თავი რაგბის გარეშე. ის 15 წლის წინ „პატარძეულის ვეფხვების“ გუნდის დაარსების დღიდანვე შეუდგა მწვრთნელობას. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. საუბარში ამაყობს კლუბ „ვეფხვებში“ აღზრდილის მურაზ გიორგაძის წარმატებებით, რომელიც ახლა საქართველოს რაგბის ნაკრების საკმაოდ წარმატებული მოთამაშეა. ასევე ახარებს დაჩი ელერდაშვილის წარმატებები, რომელმაც 15-17 წლის ასაკამდე ნაკრებში ითამაშა. სიყვარულით საუბრობს ლაშა გურგენიძეზე, რომელიც 15 წლამდე ასაკის ნაკრებში იღებდა საფრანგეთში მონაწილეობას. ასევე, პერსპექტიულ მორაგბეებად მისახელებს ოთო ზუკაიშვილს, ლაშა ბრეგვაძეს, ირაკლი ბედიაშვილს. საუბარში სანდრო დინჯად მიხსნის რაგბის საგარეჯოს რაიონში პოპულარიზაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს. ამ შემოდგომაზე კიდევ ჩატარდება რაგბის ფესტივალი, რომელიც არა მარტო პატარძეულელებს მოიზიდავს სპორტის ამ სახეობაში, მასში საგარეჯოს რაიონის ყველა სოფლის ბავშვები, ახალგაზრდები ჩაერთვებიან.

– ზოგიერთის აზრით, სანდრო, რაგბი უხეში და ძალისმიერი სპორტია, ვიზუალურად მორაგბეებიც ადვილად გამოირჩევიან დანარჩენი სპორტსმენებისაგან, შენ რას გეტყვი? – ვეკითხები სანდროს.

– როგორ გითხრათ, ვინ როგორ ფიქრობს და აფასებს, არ ვიცი, მაგრამ მე ერთი ვიცი და ჩემი მეგობარი მორაგბეებიც დამეთანხმებიან, რომ რაგბი საინტერესო და აზრიანი თამაშია. აქ გუნდური მოქმედებაა საჭირო, ინდივიდუალური თამაში წარმატების მომტანი ვერ იქნება. ზოგიერთს მართლაც „ჯაჯგური“ და დაჯახება ჰგონია ჩვენი თამაში. ასე არ არის.

– რა არის მთავარი რაგბიში?

– სიყვარული. სიყვარული უნდა შეგეძლოს – რაგბის, მორაგბე თანამებრძოლების, ერთად ბრძოლის, ერთად დგომის, ერთად სიძნელეებიდან გამოსვლის. თქვენ მაყურებელი მხოლოდ ვიზუალურს, გარეგნობას აღიქვამთ ჩვენში, მორაგბეებში, მაგრამ უპირველესად უნდა დაინახოთ ის, თუ როგორი სიყვარულით ვთამაშობთ, როგორი სიყვარულით ვიბრძვით გვერდიგვერდ მოწინააღმდეგის წინააღმდეგ და დაავირდით, როგორი სიყვარულით გვიჭირავს ბურთი...

გარდა სიყვარულისა, აქ ბევრი ნიუანსია შესასწავლი და შესასისხლხორცებელი – ბრძოლის ტაქტიკა, სტრატეგია, სისწრაფე, აზროვნება. აქ ერთი წამი, მოძრაობის ერთი ნიუანსი წყვეტს თამაშის ბედს. ამიტომ ყველა მობილიზებული ვართ, ერთმანეთს შევუწყოთ ხელი, სადად განვსაზღვროთ მოწინააღმდეგის სტრატეგიული ხედვა, ტაქტიკა. ისე, გუნდის კაპიტანზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ის გუნდის ბურჯი, გუნდის „დირიჟორია“, რომელიც მთლიანად უნდა იყოს ჩართული „ბრძოლაში“.

– გუნდის ასეთი ბურჯი ვინ არის „პატარძეულის ვეფხვებში“?

– გუნდის ბურჯი, კაპიტანი ვეფხია უსტიაშვილია. თამაშის, ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში შეუძლია თავის თავზე აიღოს სიძნელე და გუნდს შემოუძახოს, კვლავ ბრძოლის ჟინით აღავსოს. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენთან ლიდერთა ჯგუფია, თითქმის ყველას შეუძლია გუნდში დღეს ლიდერობა, ამიტომ ცალკე ნუ დამასახელებინებთ, შეიძლება ვინმე გამომრჩეს... ზემოთ საუბარშიც აღვნიშნე, რაგბიში მთავარია გუნდური თამაში, სააზროვნო, საინტერესოა, ამასთან ყველანაირი აღნაგობის ადამიანს შეუძლია მონაწილეობა, ყველას მოეძებნება თავისი ადგილი, მაგრამ მთავარია, გუნდური თამაშის წესებს ემორჩილებოდე. მოთამაშის სისწრაფის შემდეგ ყურადღება კონტაქტურ თამაშზე გადაგვაქვს. ამასთან, მორაგბემ ყოველი თამაშის შემდეგ რაღაც უნდა ისწავლოს, რაღაც ახალი – უნდა სწორად განსაზღვროს, ისწავლოს სარაგბო ეშმაკობები – როდის აჩქარდეს, როდის შეანელოს სისწრაფე, როდის რა მოძრაობა გააკეთოს და რანაირად დაიხსნას მოწინაღმდეგისაგან ან საკუთარი თავი, ან თანამებრძოლი. შერკინებაში თითოეულ წამს და თითოეულ სანტიმეტრს თავისი დანიშნულება აქვს, თუ ვერ აზროვნებ, ძნელია წარმატებები.

– რაგბიში, ერთი შეხედვით ჭიდაობის ელემენტებიც შედის...

– კი, ასეა. ქართველი მორაგბეები ალბათ იმიტომაც აღწევენ ამდენ წარმატებებს, რომ მათ გენეტიკურად მოსდევთ ჭიდაობის ელემენტები და რაგბიშიც იყენებენ გაუთვითცნობიერებლად – სწორად დავარდნას, მოწინააღმდეგის შებოჭვას, მეტოქის წაქცევას.

– სანდრო, როგორია ხელისშეწყობა მორაგბეთათვის?

– მადლობის მეტი რა გვეთქმის?!. ჩვენ ბორჯომში გავიარეთ 10 დღიანი შეკრება. ეს ცოტას როდი ნიშნავს მორაგბისათვის? იმ 10 დღეში კიდევ უფრო უახლოვდები შენს მეგობარ-თანამებრძოლს, ერთად ატარებ დროს, ერთად ვარჯიშობ და შედეგიც სახეზეა. სწორედ თელავის „კახელებთან“ ჩვენ 71:5 ვითამაშეთ, შეეტყოთ კიდეც ჩვენს ბიჭებს. 10 დღიანი შეკრება 2 თვის შედეგს იძლევა.

– ქართული რაგბის კლუბი 57 წლის გხდა 15 ოქტომბერს, ნოემბერში 15 წელი „პატარძეულის ვეფხვებს“ გისრულდებათ. გილოცავთ და დიდ წარმატებებს გისურვებთ. ვიმედოვნებთ პატარძეულის ვეფხვები თავიანთ სიტყვას იტყვიან ქართულ რაგბიში.

– მადლობა, ჩვენც გამარჯვების იმედი გვაქვს, წარმატებებისკენ ვისწრაფვით.

სპორტი

დიდ ფეხბურთზე მეოცნებე გარეჯელები

მეცხრეკლასელები არიან, გიორგი ჯინჯიხაძე საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში სწავლობს, გიორგი სულიკაშვილი – საგარეჯოს III საჯარო სკოლაში. ბურთის დევნის, ფეხბურთის სიყვარულმა გააცნო და დააკავშირა ერთმანეთთან. დღეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ფეხბურთელთა გუნდ „გარეჯის“ ფეხბურთელები არიან. გუნდში 2003 წელს დაბადებული ბიჭები მხოლოდ ბურთის ფლობას, სტადიონისა და ტრიბუნებზე მყოფი მაყურებელთა გულის დაპყრობას როდი ცდილობენ...

გიორგი სულიკაშვილი მესამე კლასიდან მივიდა მწვრთნელ გოგა მაისურაძესთან. ინტერესით მოეკიდა საქმეს. სახლში ძალიან პატარასთან პაპა – ბიჭიკო („ბარადოვკა“) სულ თავის ფეხბურთელობას იხსენებდა, ხშირად ათვალიერებდა 60-იანი წლების ფეხბურთელთა გუნდ „გარეჯის“ ფეხბურთელთა სურათებს, ამაყობდა ჯილდოებით და იმ სიყვარულით, რაც მას და ყოფილ ფეხბურთელებს აკავშირებდათ. გიორგი ახლა მწვრთნელ დათო მაისურაძესთან აგრძელებს ვარჯიშს. დღეს ცენტრალური მცველია №2-ით, 10-იანებზე სწავლობს, ბიზნესის მენეჯმენტის შესწავლას აპირებს სამომავლოდ. **გიორგი ჯინჯიხაძესაც** ბიზნესმენობა აქვს სამომავლოდ გადაწყვეტილი, მანამდე კი ვინ იცის ბიჭებს როგორ გაუმართლოთ ფეხბურთში და უფრო სახელოვანი კაცები გახდნენ?! გიორგი ჯინჯიხაძის ბიძა – თემურიც გუნდ „გარეჯში“ თამაშობდა და გიორგიმ კარგად იცის იმ თაობის ფეხბურთელები, მათი გამარჯვებები. გიორგიც ჯერ გოგა მაისურაძესთან გადიოდა ვარჯიშს, შემდეგ კი ყველასათვის საყვარელ „ბარტეზასთან“. ჯერ ცენტრალური მცველობიდან დაიწყო მისი საფეხბურთო კარიერა, ახლა მარჯვენა მცველია და ნომერი 3 ნომერი 4-ით შეცვალა.

ბიჭებს ძალიან უყვართ თავიანთი გუნდი. ჭიდაობა ინდივიდუალურ გამარჯვებებს გვიჩვენებს, მაგრამ როცა 11 კაცი ერთი მიზნისთვის იბრძვის, როცა ერთმანეთის დაცვაზე, ერთმანეთის შეცდომის გამოსწორებაზე, ერთმანეთის გამარჯვებებზე ვართ მობილიზებული, თამაში უფრო საინტერესო ხდებაო, – მეუბნებიან რადაცნაირი სიდინჯით,– ბიჭები იმ ლამაზ დღეებსაც იხსენებენ, ქობულეთში შეკრებაზე შინაარსიანად რომ გაირბინა. იქაც დასვენებასთან და ვარჯიშთან ერთად ამხანაგურ შეხვედრებს აწყობდნენ იქ მყოფ სხვა მუნიციპალიტეტის ფეხბურთელებთან და ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენ. ნელ-ნელა მოდის გამარჯვებებიო, აი, 6 თამაშიდან 5 ჩვენ მოვიგეთ, 3-ჯერ თბილისის გუნდებთან, თითოჯერ ქუთაისთან და ტყიბულთან და ერთი ფრე მარნეულთან. ნელ-ნელა ითვლიან გამარჯვებებს და ახალი გამარჯვებებისათვის კიდევაც ვიბრძოლებთო, ისეთი დამუქრებით და დაბეჯითებით საუბრობენ მომავალ წარმატებებზე, რომ ვგონებ, ესენი აღარ ხუმრობენ, მართლაც დიდი ფეხბურთისკენ იღებენ გეზს.

მანამდე კი მადლიერების გრძნობასაც გამოხატავენ. ჩვენი გარეჯელების სახელით იქნებ გაზეთის საშუალებით მადლობა უთხრათ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს,** გამგეობის ახალგაზრდული სამსახურის მთავარ სპეციალისტს **ლაშა იაკობიძეს,** აიპ „სპორტგაერთიანების“ დირექტორს **გია მაისურაძეს** ჩვენდამი – ფეხბურთელებისადმი მზრუნველობისა და ყურადრებისთვისო.

კარგია, როცა სპორტის სიყვარულთან ერთად ბიჭებს მადლიერების გამოხატვის გრძნობაც აქვთ...

ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ჩვენი გაზეთის ამასწინა ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია საგარეჯოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის აღორძინების თაობაზე, რისთვისაც გარკვეულ მუშაობას ეწევა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექცია. 1-2 ოქტომბერს კი არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის საჭიდაო არენაზე ჩატარდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოსა და სსრკ-ს ჩემპიონის, საკავშირო ტურნირების გამარჯვებულის, სპორტის ოსტატის, საგარეჯოელი ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი 2003-2004 წლიან ჭაბუკებში. შეჯიბრებაში საქართველოს ყველა კუთხის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის და თურქმენეთის მოჭიდავეები, მათ შორის რამდენიმე ამ სტილის დამწყები საგარეჯოელი მოჭიდავე.

ასპარეზობა 12 წონით კატეგორიაში ჩატარდა. მთავარი მსაჯი იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი მამუკა სულთანიშვილი.

ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ საპრიზო ადგილზე გასული ფალავნები დაჯილდოვდნენ შესაბამისი მედლებით. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის მიერ დაწესებული ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის თასი გადაეცა 60კგ წონით კატეგორიაში (ამ წონაში ჭიდაობდა ვასილ ლაფაჩიშვილი) გამარჯვებულ ლევონ ხაჩატურიანს.

ტურნირი ორგანიზებული იყო აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მომავალი მწვრთნელი თამაზ ყიფიანის მიერ.

გ. დაბახიშვილი

კრიკი

დუშეთში, ვაჟა-ფშაველას სახელოგის თასზე

მიმდინარე წელს დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155-ე წლისთავია, რისთვისაც საქართველოს რეგიონებში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, ეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები. 22-26 სექტემბერს ამ თარიღთან დაკავშირებით დუშეთის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ბაზაზე მოეწყო მოსწავლეთა შორის საქალაქთაშორისო ტურნირი კრივში, სადაც თბილისის, ჭიათურის, გორის, მარნეულის, დუშეთის, ლაგოდეხის და სხვა მუნიციპალიტეტების ნორჩ მოკრივეებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ზურაბ იმნაძის 2004-2005 წლიანი მოკრივეების გუნდი 7 კაცის შემადგენლობით. როგორც წინამორბედ სხვა ტურნირებშიც, იმნაძის აღსაზრდელებმა არც ამ შეჯიბრებაში დაუდეს ტოლი ქვეყნის სხვა რეგიონების თანატოლებს და შეძლეს 6 საპრიზო ადგილის დაკავება.

საგარეჯოელ მოკრივეთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი გოგა საგინაშვილმა აჩვენა, რომელიც ჩემპიონი გახდა 75 კგ წონით კატეგორიაში. მეორე ადგილები და ვერცხლის მედლები მოიპოვეს თორნიკე კანჯარაშვილმა (40კგ), დავით პასიკაშვილმა (30კგ), დავით ბექაურმა (38კგ); ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბაქარ ბარამაშვილმა (52კგ) და თემურ ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ იმნაძის განცხადებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ტურნირზე თორნიკე კანჯარაშვილის წარმატება, რომელმაც სულ ახლახანს დაიწყო ვარჯიში და კარგ შედეგს მიაღწია.

ახლა გარეჯელი მოკრივეები მომავალი ტურნირებისათვის ემზადებიან და იმედია მომავალშიც ასევე ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს

სუდოკუ

მარტივი

		2	3	7				1
1		6	2				9	
9			1			2	8	3
	5			9	1			8
	6						1	
2			7	3			4	
7	8	3			6			4
	2				7	8		9
5				8	3	6		

საშუალო

		2	3			6	1	
4					2			3
	6		8	5				4
					4	2	9	7
	8			2			6	
1	2	7	6					
6				3	8		7	
7			4					2
	1	3			5	8		

რთული

				1		6		8
			9				4	
5		1			7			
3				8		4		6
	1		6		3		8	
8		6		9				1
			1			7		9
	4				9			
2		9		3				

მადლობა

ძვირფასო ამომრჩევლებო, ჩემო თანამემამულენო!

მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ გულისხმიერებისა და ჭეშმარიტად თავისუფალი ნების გამოხატვისათვის, იმ გულმხურვალე, აქტიური მხარდაჭერისათვის, რაც თქვენ საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეს – 8 ოქტომბერს გამოიჩინეთ პარტია „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოს“ და ამ პარტიიდან ჩემი, როგორც საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიმართ.

გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურშიც კვლავ გააკეთებთ სათანადო არჩევანს და მთელი თქვენი შეგნებით დაუდგებით მხარში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ და მეც, საგარეჯოს მკვიდრ წარმომადგენელს მხარს დამიჭერთ ქვეყნის საკანონდებლო ორგანოში შესასვლელად.

პატივისცემით რომან მუჩიაშვილი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების*** მენეჯერი **თინათინ შიოშვილი,** დაწესებულების თანამშრომლები და აღსაზრდელთა მშობლები მადლობას უხდიან ამავე ***სოფლის გამგებლის წარმომადგენელს ანა ყაჯრიშვილს*** დაწესებულების ოთახისათვის და ეზოს გასართობი სათამაშოების შეძენაში გამოჩენილი თანადგომისა და ყურადღებისათვის.

მას ერთი საუკუნე შეუსრულდა

3 შვილით, 5 შვილიშვილით და 9 შვილთაშვილით

რუსუდან ივანეს ასული დაბახიშვილი დაიბადა 1916 წლის 1 სექტემბერს სოფელ მანავში. დედა – ევა ბეჟანიშვილი მალე გარდაიცვალა და დაობლებული 4 მცირეწლოვანი შვილის აღზრდა მამამ იტვირთა. მამა მორწმუნე ადამიანი ყოფილა. როგორც ბებო იხსენებს მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სოფლის ეკლესიასთან და შვილებსაც აზიარებდა ეკლესიაში. ბებოს ჰყავდა ძმა -შალვა დაბახიშვილი, დები- ანეტა, ვარინკა დაბახიშვილები .

რუსუდანმა დაამთავრა სოფელ მანავის სკოლა ოთხწლიანი განათლებით. კარგად სწავლობდა და როგორც თვითონ ამბობს – მასწავლებელიც გავხდებოდი ვინმეს რომ შეძლებოდა ჩემი პატრონობაო. განსაკუთრებით ყვარებია ხატვა, თამაშის დროსაც კი მიწაზე ვხატავდი ჯოხითო, გამიმხილა ბავშვობისდროინდელი გატაცება, თუმცა ასაკშიც შემიმჩნევია როგორ ხატავდა თავისთვის . ძალიან ტკბილად იხსენებს თავისი ბავშვობის წლებს, მშობელ მამას და ახლობლებს.

ბებო სიყვარულით გათხოვდა სოფელ ვერხვიანში, რამდენიმე წელში მეუღლე- შაქრო საგინაშვილი „გაატროკისტეს'' და გააციმბირეს. ბებო 11 წელი ელოდა მეუღლეს. კი უთხრეს გარდაიცვალაო, მაგრამ ის მაინც ელოდა. ვერხვიანში მეზობლად ცხოვრობდა მისი და- ანეტა, რომელსაც მეუღლე ომში გარდაეცვალა და მისი სამი მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდაში ბებოს დიდი წვლილი მიუძღვის. ომიანობა იყო და ძალიან ჭირდა თავის გატანა. ბებო კოლმეურნეობაში მუშაობდა, თავს არ ზოგავდა და უტეხი ნებისყოფით აგრძელებდა ცხოვრებას. 11 წლის მერე სოფელში ციმბირიდან დაბრუნდა ადამიანი, ვის გვერდითაც გარდაიცვალა რუსუდანის მეუღლე საავადმყოფოში, ტიფით. ამის შემდეგ 33 წლის ასაკში გათხოვდა სოფელ ყანდაურაში. მეუღლე- სოლომონ ლეგაშვილი მშრომელი და პატიოსანი ადამიანი იყო. ბებო ამბობს: "იმისგან ერთი სიტყვაც არ მწყენიაო". შეეძინათ სამი ქალიშვილი- ციალა, ციცინო და ზაირა ლეგაშვილები. უფროსი ქალიშვილისგან ჰყავს ორი შვილიშვილი(სანდრო და დარეჯან დვინაშვილები) და ექვსი შვილთაშვილი(გიორგი, ლიზი და საბა დვინაშვილები და ნელიკო, თინიკო და დათა ქურხულები). შუათანა ქალიშვილისგან (ციცინო ლეგაშვილი, რომელსაც დედის ნიჭი გამოყვა და მხატვარია. 12 წელი ასწავლიდა ხატვა- ხაზვას საგარეჯოს მეორე სკოლაში) ჰყავს ორი შვილიშვილი (მამუკა და კახა ძირკველიშვილები) და სამი შვილთაშვილი(გიორგი, თეკლა და მათე ძირკველიშვილები). უმცროსი ქალიშვილისგან- ზაირა ლეგაშვილისგან ჰყავს ერთი შვილიშვილი- მანანა ტაბატაძე.

რუსუდანი წყნარი, მშრომელი და ძალიან ოპტიმისტი ადამიანია. აქვს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და რაც ყველაზე მთავარია - ღმერთის რწმენა. ლოცულობს ყოველ დილას და საღამოს, თავისი შვილებისთვის, ქვეყნისთვის და ყველა გაჭირვებული ადამიანისთვის, ეზიარება ხოლმე და ამბობს, რომ ყველაფერი ღმერთის დაშვებით ხდება ამ წუთისოფელში.

2016 წლის პირველ სექტემბერს რუსუდან დაბახიშვილი 100 წლის გახდა, ძალიან გაიხარა თავისი შთამომავლობის ნახვით. დაბადების დღე მიულოცა საგარეჯოს მაჟორიტარობის კანდიდატმა რომან მუჩიაშვილმა. ბებოს ძალიან გაუხარდა მისი მილოცვა, მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა.

***შვილიშვილი** მანანა ტაბატაძე,*
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
ყანდაურის საჯარო სკოლის მასწავლებელი.

ხსოვნა

ნანა ზირაქაშვილი-ოთიაშვილი

შვილო, გავიდა 1 წელი, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო სევდა და მონატრება, ჩემო ნიჭიერო, განათლებულო, უწყინარო შვილო. ძალიან გვაკლიხარ, ყველას გვენატრები. უჭირთ შენს ქმარ-შვილს უშენობა – შენ ხომ საუკეთესო დედა იყავი. შენი ცოდნა შენს შვილებს ვეღარ გამოადგა, შენს აღსაზრდელ ბავშვებს მოაკლდა მზრუნველი, განათლებული პედაგოგი. ცხარე, წრფელი ცრემლებით დაგიტირა პატარა ჩაილურის სკოლამ, დიდმა თუ პატარამ. მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება. არასოდეს გეკლდა შენი პედაგოგიური კოლექტივისაგან სიყვარული და პატივისცემა და ეს დაამტკიცეს კიდეც, შვილო. ერთი წელი ისე მიაგეს პატივი შენს ხსოვნას, რომ შენს ადგილს არავინ გაეკარა. ამით ხომ დიდად დააფასეს შენი სიყვარული, შენს მიერ გაცემული სიკეთე.

უსაზღვროდ მენატრები ჩემო სიცოცხლით გაუხარელო და ქმარ-შვილზე თვალდარჩენილო, ჩემო სიცოცხლით სავსევ, ჩემო უყისმათო ნანა. ყველას ენატრები, ყველას დიდი ტკივილი მიაყენე შვილო, შენი უბედური დედ-მამა უშენობას ვერ მიეჩვევა.. ისევ გელოდებით, ისევ დაგეძებთ ხალხის გარემოცვაში – იქნებ სადმე დაგინახოთ და ჩაგიკრათ გულში. გული კი შენი მონატრების ტკივილით გასკდომას ლამობს. რა ვუყო, შვილო იმ დიდ ტკივილს და სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია?! რომელსაც ვერ კურნავს, ვერ აშუშებს დრო. რაც დრო გადის, გული მძიმდება, ყოფა გაუსაძლისი ხდება. წახვედი და ჩემი გული შენ გაგყვა. ამ სიმწარემ ლამის მთლად გამაგიჟოს. შვილო, მინდა შენთან ვიყო, ჩაგეხუტო, დაგიკოცნო სხეული და მოვიკლა მონატრების სურვილი. ამის შემდეგ ისდა დამრჩენია, შენს შვილებს მოვეფერო, სანამ შენთან წამოვა შენი დედა. შენი ამ ქვეყნიდან წასვლა ბედისწერა იყო. ეს ბედისწერა მეც მინდა მალე მომივიდეს და მოვიდე შენთან. მაგრამ, სანამ ეს მოხდება, ვილოცებ შენი ლამაზი სულისათვის და როცა შეგხვდები, გულში ჩაგიკრავ უზომოდ მონატრებულს და გეტყვი – მაპატიე, შვილო, რომ დავიგვიანე. ერთს გეტყვი, შვილო, ვცოცხლობ, მაგრამ ამას თუ სიცოცხლე ჰქვია?

შენი თვალცრემლიანი დედა

რობა როსტიაშვილი

რ-ოგორ მენატრები, ჩემო საყვარელო,
ო-ცნებით შენთან ვარ მუდამ,
ბ-ევრს ვნატრობ შენთან რომ მოვიდე,
ა-რაფრით უკან არ დავიხევ, არა!

მესამე შემოდგომა მოვიდა შვილო! მესამედ ვხვდები უშენოდ წელიწადის ამ ლამაზ დროს და შენს დაბადების დღეს.

შენგან მარტო დარჩენილი საშინელი ნოსტალგიით ვხვდები ამ ყველაფერს, ვიხსენებ და თვალს ვავლებ ჩემს ცხოვრებას და გული უფრო და უფრო საშინლად მტკივა, როცა ვაცნობიერებ, რომ შენ სამუდამოდ გაექეცი დედას, გაექეცი ამქვეყნიურ ცხოვრებას და ბინა იმ ქვეყნად დაიდე.

უშენობას ვერ მივეჩვიე, შვილო! აგერ, უკვე მესამე წელია ჩემთან აღარ ხარ, მაგრამ მე ისევ გელოდები, ისევ მგონია, კარები გაიღება, შემოვა ჩემი რობა, დედას დამიძახებს, ჩამეხუტება და მეტყვის – დედა აქა ვარ, მოვედიო. ვიცი, ეს ყველაფერი საშინელი ტყუილია, მაგრამ მე მაინც ამ ტყუილით ვცხოვრობ და მგონია, რომ შენ ისევ აქა ხარ, ჩემს გვერდით.

ზუსტად ამ იმედით და შენს მოლოდინში გავლევ ჩემს ამქვეყნიურ დღეებს. ძნელია, შვილო, ძალიან ძნელია უშენოდ ყოფნა. უზომოდ მენატრები, მაგრამ ვერაფერს ვერ ვცვლი – ეს ყველაფერი ჩემს (დედის) ძალებს აღემატება.

30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, შვილო, 37 წლის ხდები. მინდა მოგილოცო ეს დღე, ჩემო საყვარელო, ჩემო გიჟმაჟო და ჩემო უყისმათო შვილო, რობა!

შენ ხომ უსაზღვროდ კეთილი გული გქონდა, შვილო, ხოდა, მაგ სიკეთემ გაგინათოს მანდ შენი მუდმივი სასუფეველი.

ნათელში იყოს შენი სული, შვილო!

ჩვენ, მთელი შენი ოჯახი მოვალთ შენს მუდმივ სასუფეველთან, აგინთებთ სანთლებს და მოგილოცავთ 37 წლისთავს, ჩვენო რობა!

გვენატრები ყველას, ძალიან გვენატრები, ჩემო კეთილო ადამიანო.

მ-ენატრები გენაცვალე,
ე-ს როგორ გამამწარე,
ნ-ეტავ რატომ გამექეცი,
ან რატომ დამემალე?!
ტ-ირის გული და გეძახის,
რ-ატომ აღარ მოდიხარ?
ე-ნატრები დედას ძლიერ,
ბ-ევრს დაგეძებს საწყალი.
ი-ცი, როგორ ენატრები, საყვარელო?!
მოდი!!!

დედა –
მანანა ჟოჟიაური-როსტიაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაერთიანების დირექტორის მოადგილეს გია ხოსიტაშვილს დედის

თამარ ხოსიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ამავე საკრებულოს წევრს გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილს მამის

ანდრო ჩერქეზიშვილის

გარდაცვალების გამო.